სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ... ერთის წლით ... თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ღირს წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის სააგარაკოში)
სასეირნო ბაღი
არმაზი
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
ყველაფერი იაფად
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—17) ი. ჩხარტიშვილი

იარმარკა
უმაღლესის მთავრობის ნება-რთვით
დ. სუჯუნაში [სენაკის მაზრა] დანიშნულია
იარმარკა
ყოველ წლობით 7-დან 14 ივლისამდე
და საბაზრო დღეები ყოველ კვირაობით, სადაც ისყიდება ყოველგვარი მსხვილი და წვრილი პირუტყვები, შალ-აბრეშუმობა, სხვა-და-სხვა ადგილობრივი სავაჭროები და სხვა.
მსურველთ ყიდვისა და გასყიდვისა შეუძლიანთ მობრძანდნენ დ. სუჯუნაში, რომელიც მდებარეობს აბაშის რკინის გზის სადგურიდან სამი ვერსის მანძილზე და სადაც შეუწყვეტლად ეტლები დაიარება. (4—2)



ეს არის ეხლა მიღებულია საზღვარ-გარეთიდან და ისყიდება
მწვანე და მოლაპარაკე თუთიყუშები
და სხვა მრავალი საზღვარ-გარეთელი მშვენიერი ფრინველები
აქვე ყიდულობენ კავკასიის ცოცხალ პირუტყვებს: ირმებს, ჯეირნებს, შურთხებს, გარეულ ყოჩებს და სხვა-და-სხვა ფრინველებს.
ტფილისი, მიხეილის ქ. № 106, ბარამოვის სახ. ეზოში ჰუგო ვინკლერს.
Продажа говорящихъ ПОПУГАЕВЪ и иностран. птицъ.
Покупка Кавказскихъ дикихъ животн. и птицъ.
Михайловская ул. № 106. д. Барамова (во дворѣ) ГУГО ВИНКЛЕРУ. (12—10)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

---

*** **სახელმწიფო ქონებათა მმართველის დაბრუნება.** ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველი ნადვ. სოვ. ბეკი დაბრუნდა პეტერბურგიდან ტფილისს და შეუდგა თავისი თანამდებობის აღსრულებას.

*** **მუშაობა საგუბერნიო კანცელარიებში.** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, მუშაობა ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო რჩევისა და სატუსაღოთა მზრუნველ საგუბერნიო კომიტეტის კანცელარიებში ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში დაიწყება დილის 8 სათიდან და გასტანს ხოლმე ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

*** **პოემა რუსულ ენაზე საქართველოს ცხოვრებიდამ.** ჟურნალს „რუსსკოე ობოზრენიე“-ს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია პოემა ბ-ნის ა. ემგესი „ვახტანგ“, ქართული ლეგენდა ვახტანგ გორგასლანის ცხოვრებიდამ.

*** **სიკვდილით დასჯა.** 30 ივნისს, დილის 5 საათზე, ქუთაისიდან ერთი ვერსის მანძილზე ჩამოარჩვეს ორი დამნაშავე მალხაზ ძოგაშვილი და საბა თედეშვილი, რომელთაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა სხვა-და-სხვა დანაშაულისათვის.

*** **უწესოება ლაბორატორიის ქუჩაზე.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ლაბორატორიის უბანში, პოლიციის 1-ლ ნაწილში, ღამით მოსვენებას არ აძლევენ მცხოვრებთ მოქეიფე ბიჭ-ბუჭები, რომლებიც აქ მთელ ღამეს „არღანს“ აჭყვირებენ, ხშირად რევოლვერსაც ისვრიან და მკვიდრთ ძილს უფრთხობენ. ურიგო არ იქნება, ამ ბიჭ-ბუჭების თავ-გასულობას საჭირო ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

*** **ცნობების შეგროვება მთხოვართა შესახებ.** ტფილისის გუბერნატორმა ცირკულიარით წინადადება მისცა მაზრის უფროსებსა და ტფილისის პოლიცმეისტერს შეაგროვეთ სტატისტიკური ცნობები მთხოვართა რაოდენობის შესახებ, აგრეთვე აღნიშნეთ მათხოვრობის გამავრცელებელი მიზეზები, გამოარკვიეთ საქველ-მოქმედო დაწესებულებათა მნიშვნელობა და გავლენა მათხოვრობის შემცირებაზე და ამასთან მოგვაწოდეთ რაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობები საქველ-მოქმედო საზოგადოებათა მოქმედების შესახებაო. ეს ცნობები საჭიროა სასჯულო საქმეთა სამინისტროში შემდგარ კომისიისათვის, რომელმაც უნდა შეამუშაოს ზომები მათხოვრობასთან საბრძოლველად.

*** **ზნე-დაცემული ქალი.** დიდი ხანია, რაც პოლიციის 1-ლ განყოფილებაში, ვერის ხიდის მისახვევში (№ 15), ცხოვრობს ერთი ზნე-დაცემული ჩოხატაურელი ქალი. ეს ქალბატონი შეპყრობილია ავი სენით და ამ სენს ავრცელებს იგი თავისს სამშობლო ჩოხატაურშიაც (გურიაშია), სადაც იგი ხშირ-ხშირად მიდის ხოლმე. აქ ეს

ქალბა... ნს ხოლმე ერთ-ერთ ცუ... ხეტიალე ვაჭბატონს და ... ამწეობით ასალებს თავისს სხეულს. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

სიმართლის მთქმელი

*** **ქუთაისი.** ეპისკოპოსის ბესარიონის მილოცვა. მოვიდა თუ არა ამბავი, ეპისკოპოსი ბესარიონი უმაღლეს მთავრობას იმერეთის ეპისკოპოსად დაუნიშნავსო, მაშინვე აუარებელი ხალხით აივსო ეპისკოპოსის სასახლის ეზო. ეპისკოპოსს წარუდგნენ ყოველი წოდების და ეროვნების წარმომადგენელნი და მიულოცეს თანმდებობაში დამტკიცება. ყოვლად უსამღვდელოესმა ბესარიონმა ყველანი სიამოვნებით მიიღო, მიმართა მათ შესაფერი სიტყვით და ბოლოს მადლობით და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა.

*** **ბაქო.** შურის-მაება სატრფოს ღალატის გამო. 28 ივნისს, საღამოს 9 საათზე, სომეხი ა. მ. არუსტამიანცი შეხვდა ქვა-ფენილზე 21 წლის სომხის ქალს სოფიოს, და სამჯერ ესროლა მას რევოლვერი; სოფიოს მოხვდა ერთი ტყვია მარცხენა მკერდზე; ამის შემდეგ არუსტამიანცი ჩაჯდა ეტლში და წავიდა შინ, სადაც იგი შეიპყრეს.

არუსტამიანცს, როგორც გაზ. „კასპი" სწერს, მკვლელობის ჩადენა განუზრახავს შურის ძიებით იმის გამო, რომ შარშან მას დაუნიშნავს სოფიო, დანიშვნაზე დაუხარჯავს 800 მანეთამდე და შემდეგ კი საცოლეს უარი განუცხადებია; არუსტამიანცს საჩივარი შეუტანია მომრიგებელ სასამართლოში, მაგრამ იქ საქმე წაუგია; შემდეგ საჩივარი საოლქო სასამართლოში გადაუტანია, მაგრამ ამასობაში სოფიო სხვას გაჰყოლია ცოლად. გაუგია თუ არა ეს, არუსტამიანცს გადაუწყვეტია მკვლელობის ჩადენა.

*** **დუშეთი.** ავაზაკის დაჭერა. დუშეთის მაზრაში საავაზაკოთ გავარდნილი ჯარის კაცთა ხროვის ბელადი ოსი ხაჩირაშვილი, რომელსაც პოლიცია დაეძებდა გლეხი ძაძაშვილის გაძარცვაზე, საქონლის მოპარვაზე და სხვა ავ-კაცობის ჩადენაზე,—29 ივნისს დაჭერილ იქმნა დუშეთის მაზრის ჩაფართა რაზმის უფროსის თავ. აბესალომ ფაღავას მიერ, ქსნის ხეობაში, სისხლის დაუღვრელად. ეს ხაჩირაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიჭია და თავზარ დამცემი ყაჩაღის შეხედულობა აქვს,—მადლობა ღმერთს, რომ თავ. ფაღავამ დროზე ბორკილი დაადო და ციხის კარები უჩვენა, თორემ ბევრს ოჯახს დააწიოკებდა და გაუშრობდა სისხლს.

— ფქვილის დარიგება. ბაზალეთის საბოქაულოს გლეხ-კაცობას, რომელნიც სეტყვისაგან დაზარალდნენ და საჭმელი პური შემოაკლდათ, დროებით დამხმარებელი კომისია ამ ჟამათ ფქვილს ურიგებს, თითო კომლზე სამ-ოთხ ფუთამდე. ამნაირი მთავრობის წყალობა სულის მისწრებაა და საწყალ ღარიბ ღატაკნი ლოცვა და კურთხევით იგონებენ გაჭირვებაში მშველებელ საბაბს.

— წიგნთ-საცავ-სამკითხველო. აქ არსდება მიცვალებულ ალექსანდრე რონიაშვილის სახელობაზე წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ქალაქის მმართველობამ უკვე გადასწყვიტა ყოველ წელს ეძლიოს მას, ქალაქის თანხიდამ ათი თუმანი წვლილი და შესდგა კიდეც ექიმი აბ. იაშვილის ხელ-მძღვანელობით წრე სამკითხველოს წეს-რიგის შესამუშავებლად. სამკითხველოს გამგეთ აღნიშნულია პოდპოლკოვნიკი ერმალოზ ყარანგოზიშვილი და ბიბლიოთეკრად ვ. ღ....ძე. „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოება ძალიან კარგს იზამს, რადგანაც სამკითხველო მალე მომავალში დაიწყებს მოქმედებას, აჩქაროს გამოგზავნა რამდენიმე ათი დარჩენილი წიგნებისა და რამდენიმე ცალი დაპირებულ, როგორც მოღვაწეების სურათისა, აგრეთვე ხატისა და ზოგიერთი ნივთისა.

ისარი

*** **სადგ. წიფა.** ორმოში დამხრჩვალნი. გუშინ წინ, 2 ივლისს ღამით ერთი დიდათ საზარელი ამბავი მოხდა აქ: ორი კაცი (სომხები) რომლებსაც სადგურის ფეხის ალაგი უნდა გაეწმინდათ, უეცრათ ჩაცვივდნენ ფეხის ალაგის ორმოში და უწმინდურებით გაიგუდნენ. თუმცა ორივენი მალე ამოიყვანეს, მაგრამ ერთი კიდეც გარდაცვლილიყო და მეორეს მორჩენა კი საეჭვოა. საცოდავნი მიხაილოვში გაგზავნეს. აი ესეც რკინის გზის ვითომ-და ახალი ამაგი!

*** **ბუხარა** (კასპიის მხარე). სიცხე-პაპანაქება. აქეთ კასპიის მხარეში ძლიერი სიცხეები დაიწყო თიბათვის 1-ლ რიცხვს აქეთ, ასე რომ ქ. მერვში 45° სიცხეა, ასხაბადში 41°, ქ. ბუხარაში 38°, სამარკანდში 30°. წვიმა 1-ლ მარტს აქეთ აღარ გვინახავს და მგონია არცა ოდესმე გვეღირსოს; იმედი წვიმისა 1-ლ გიორგობისთვემდის მაინც არ გვაქვს, რადგან წარსულ წლებშიც აგრე ყოფილა.

— ფასი ხორაგსა და სხვებზე. აქ ძლიერ იაფია აბრეშუმეულობა, მაგალ. არშინი 50—70 კაპ. ძროხის ხორცი გირვანქა 5—6 კაპ., ცხვრისა 8—9 კაპ., კარტოფილი გირვ. 2—3 კაპ.: ფუთი 60—80 კაპ.; ღვინო ბოთლი 15—30 კ., ვედრო 2—3 მ. 50 კ., პური 1-ლ ხარისხისა $4\frac{1}{2}$ კაპ.

კასპიის მხარეში სცხოვრობენ სხვა-და-სხვა რჯულის ხალხი, მაგალითად: კივინელნი სარტი, ყირგიზი, ავღანელნი. დღე ისე არ გაივლის, რომ ან სარტმა არ მოკლას კივინელი და ან ყარგიზმა სარტი. მცხოვრებთა რიცხვი ბუხარაში 3000 აღემატება, მათ შორის რუსები 1000-მდის იქნებიან და დანარჩენნი-კი სულ მაჰმადიანები არიან.

მალაქია

*** **ს. კულაში** (იმერეთი) წურბელა ურიების ხრიკები. წელს ჩვენში აბრეშუმის მეტად კარგი მოსავალი იყო. როგორც სტატისტიკურ ცნობებიდამ სჩანს, ჩვენში აბრეშუმი გაყიდულა ოცდახუთი ათას მანეთისა. ამოდენა შემოსავალი სოფელში აბრეშუმიდამ არავის ახსოვს და, ცოტა არ იყოს, მცხოვრებლებმა სული მოითქვეს. ესენი გაიძახიან: სულ დავანებოთ თავი სიმინდის მუშაობას და აბრეშუმის მოყვანას მივყოთ ხელიო. მართლაც, შრომა სიმინდის მოყვანაზე, მისი სიიაფის გამო, მცხოვრებლებს არ უფასდებათ იმდენად, რამდენადაც თვისივე ნაშრომი აბრეშუმი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მისს მოთხოვნილებას. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად სულ ფუჭად ეფლანგებათ ხელში ეს ოფლითა და ტანჯვა-ვაებით ნაშოვნი ფული. ჩვენებურის ჩარჩ-წურბელა ურიების ხრიკების წყალობით, ადგილობრივი მკვიდრნი ამ ფულს სულ ფართლებად აქცევენ ხოლმე. ცოტა არ იყოს, იმერელი ხალხი სუფთად და კოხტად გამოწყობის მოტრფიალეა. აქაური ქალები ხომ უარესი ფუქსავატები არიან. ყოველ-დღე და ყოველ მხრიდან აუარებელი ხალხი მიეშურება ურიებისაკენ სავაჭროდ. არის ერთი ზრიალი ურიების დუქნის წინ, მოვაჭრე ურიები ჯარასავით ტრიალობენ დახლში, საცოდავ მყიდველებს დავთარს უბნევენ თავიანთის ლაყბობით და შემდეგ გაბრუებულს ადვილად შეატყუებენ ხოლმე თავიანთ დამპალ საქონელს ნაღდ ფულში. ამგვარად, აბრეშუმის გაყიდვით მოგებული ფულით ურიები მდიდრდებიან და თვით მომგებნი თავდაპირველად ამ ფულისა იღლიას ივსებენ დამპალ-დუმპალი ფართლებით და ბრუნდებიან ისე შინ.

აი, ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად დიდად საჭიროა დაარსდეს ჩვენში დეპო, როგორც ეს მაჩხაანშია, რომ ურიების წურბელობას ლაგამი აედვას. ფრიად სასიხარულო იქნება, რომ ვინმე იკისრებდეს ამ საქმის თაოსნობას.

ზოლ-კინ

*** **ქ. ბათომი.** ჩვენი საჭიროება. მოგეხსენებათ, რომ ბათომში მრავალი ქართველი მუშა ხალხი სცხოვრობს და მე, როგორც ერთმა მუშათაგანმა ძრიელ კარგად ვიცი, თუ როგორ უყვართ წიგნების კითხვა მუშებს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ისინი ამ სურვილს ვერ ისრულებენ, რადგან მათ იმდენი შეძლება არ აქვთ, რომ ყველა გამოცემები და წიგნები შეიძინონ. ხოლო სამკითხველო კი არსად არის, თუმცა მის დასაარსებლად ფულები ოთხი წლის უკანშეაგროვეს. დიახ, ფული დიდი ხანია შეგროვილია და სამკითხველოს დაარსებას კი არა ეშველა-რა. ფულებს აგროვებდნენ აქაური ქალები, რომლებმაც გამართეს სამკითხველოს დასაარსებლად ხელის მოწერა, ყველას თითო მანეთი უნდა შეეტანა, არც მეტი, არც ნაკლები, საზოგადოებაც, უმთავრესად-კი დაბალი წოდება, ე. ი. მუშა—მოსამსახურეები თანაგრძნობით მიეგება ამ კეთილ საქმეს. არავინ დაიშურა სამკითხველოს დასაარსებლად თითო მანეთი და კიდეც შესდგა საჭირო თანხა. მაგრამ გავიდა მას შემდეგ ერთი წელიწადი და სამკითხველოზე კრინტს არავინ იღებდა. როცა დაეკითხნენ ჩვენს ქველ-მომქმედ ქალებს: ან ფული რა უყავით, ან სამკითხველოს რატომ არ აარსებთო, მათ უპასუხეს: ფულები სკივრშია და გაიზრდებაო. გავიდა მას შემდეგ კიდევ სამი წელიწადი და სამკითხველო სრულ დავიწყებასაც მისცეს. ახლა არავინ იცის, ის ფულები მართლა სკივრში იზრდება, თუ სულ გაჰქრა. ეგებ ულმობელმა პროფერანსმა გადაყლაპა, ან და ქველ-მოქმედმა ქალებმა თავიანთ ქმრების სქელ ჯიბეს შეუერთეს. ძრიელ კარგს იზამდნენ ხსენებული ქ-ნნი გაგვაგებინებდნენ, თუ ის ფული რაში მოიხმარეს, ან თუ კიდევ ცოცხალი არის, რატომ სამკითხველოსთვის არაფერს ფიქრობენ?..

ბედიდგან-კრული

*** **გურია.** ხალხის ყოფა-ცხოვრება. ვინც ცოტათი მაინც იცნობს გურიის ყოფა-ცხოვრებას, აქაურს ავ-კარგიანობას, იმას უსათუოდ კარგად ეცოდინება ის გაჭირვება მწუხარება, რომელშიაც იმყოფებიან აქაური მკვიდრნი მიწა-მამულის სივიწროვის გამო. არა გვგონია, რომ კიდევ იყოს რომელიმე კუთხე ჩვენი ქვეყნისა ისეთი გაჭირვებული ამ ხრით, როგორიც ჩვენი პაწაწა გურია არი

(მთელი გურიის სივრცეს 1890,16 კვადრატიულ ვერსი შეადგენს, რომელზედაც ჰსახლობს 90,000-მდე სული მკვიდრი). მეტადრე გურიის ზოგიერთა კუნჭულებში მიწის სივიწროვე იქამდისინ მისულა, რომ იქ სრულიად ვერ ნახავთ შინაურ პირუტყვთათვის დატოვილს საბალახო მიწას, რის გამოც მცხოვრებნი იძულებულნი არიან თითქმის სრულიად მოსპონ შინაური პირუტყვი, ხოლო ის ერთი-ორა აყოლი, ურომლისოდაც სოფლელი მეოჯახე ვერას გზით ვერ გასძლებს, უსათუოდ დაბმული უნდა ჰყოლიოს. ზოგიერთა სოფელში, როგორც, მაგ., სოფ. საჯავახო, ბანოული, ციხე და სხვანია, ხშირად ნახავთ დასაწყლებულ ლორებსა და ინდაურებს ეზოში ბაწრით დაბმულთ; მხოლოდ შემოდგომის მიწურულში, როცა აქაური ჭირნახული, სიმინდი და ღომი, შეინახება, ეღირსებათ ბაწრის შეხსნა ამ გაჭირვებულ პირუტყვთ.

როგორც იცით, გურიის მკვიდრნი ძველთაგან მეურნეობის მიმდევარნი ყოფილან და ამათ ხელობას შეადგენდა: ხვნა-თესვა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. აი ამ ნაწარმოებთა გასაღებით შემოდის ორიოდე გროში ჩვენს ქვეყანაში. და ამ ორი გროშით უნდა გაუძლვეს აქაური სოფლელი ყოველგვარ ოჯახის ხარჯ-გასავალსა და ეგ ხარჯი-გასავალი ხომ წლიდან-წლამდე, თვიდან-თვემდე თანდათან იზრდება მატულობს. როგორც ზემოდაც ვთქვით, ნათესთაგან აქ მხოლოდ სიმინდი და ღომი მოჰყავთ, გასასყიდად კი მარტო სიმინდი გააქვთ. ეს უკანასკნელი ათიოდ წელიწადია სიმინდის ფასი ძალიან დაცემულია, რის გამოც ჩვენ ქვეყანას ამ ნაწარმოებიდან თითქმის ზარალის მეტი არაფერი ურჩება. (მუშა ხელს მაინც). მართალია წრეულს, ამ ორი თვის წინად, სიმინდის ფასმა უეცრად აიწია, 60—70 კაპ. ავიდა ფუთის ფასი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, იგი ხელახლად დაეცა და დღეს ფუთი სიმინდი სავაჭრო პუნქტებზე მხოლოდ 25—30 კაპიკად-ღა გადის. მაშასადამე მუშა-ხალხი ამ წარმოებიდან ხელ-დაბანილი დარჩა. ღვინო ხომ დიდი ხანია ჩვენში მოისპო და ნაცვლად ადგილობრივი ძველად-განთქმულ ჩინებულ ღვინოებისა, დღეს აქ მოდის უვარგისი „ოდესსა“—(იზაბელა). კიდევ კარგი, რომ ამ სალვინოდ უვარგისი ყურძნის ჭაჭა ჩინებული გამოდგა არაყის სახდელად და დიდი უმეტესი ნაწილი ამ ყურძნისა არყის მასალად მიდის. ასე რომ დღეს გურიაში არყის გაყიდვით კაი ძალი შემოსავალი შემოდის, თუმცა ამ წარმოების ბაჟის (აქციზის) გადიდებით ოზურგეთის მაზრაში დიდად დაიწია არყის შემოსავლის რაოდენობამ.

აბრეშუმის ჭიის მოშენებაც—მეაბრეშუმეობა ჩვენში ძველთაგან განთქმული იყო. მაგრამ ამ საუკუნის მე-60 წლებში საქვეყნოდ გავრცელებულმა აბრეშუმის ჭიის სენმა აქაც მოსპო ეს სასარგებლო წარმოება. მხოლოდ ამ უკანასკნელ 10—12 წელში ხელ-ახლა იწყო გამობრუნება ახალმა (პასტერის გამოგონებით გაახლებულმა) მეაბრეშუმეობამ და დღეს გურიაში ასი ათას მანეთზე მეტი შემოსავალი რჩება ამ წარმოების წყალობით. აქაური ჩარჩების ოინბაზობას გამო გურიაში მოსული პარკები ჩალის ფასად გადიოდა ამ რამდენიმე წლის წინად. მხოლოდ აქაურ ამხანაგობის „შუამავლის“ დაარსების შემდეგ, ნელ-ნელა ბოლო ეღება აქაურ ჩარჩების თავგასულ თვითნებლობას, და ფასი პარკისა თანდათან მაღლა იწევს: წელს კი იმის ფასი 15 მანეთამდე ავიდა, მაშინ როცა ამხანაგობის დაარსებამდე ფუთი პარკი 5—7 მანეთზე არ იწეოდა. პარკის ასეთმა აწევამ საოცრად წამოაცოცხლა და გამოაფხიზლა აქაური მეაბრეშუმე ქალები. ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, აბრეშუმის წარმოება ერთიანად ქალების ხელში იმყოფება და დრო ამ წარმოებისა დიდად საინტერესო და სიცოცხლით სავსე დრო არის სოფლის ქალთათვის. მართლაც, მეაბრეშუმეობა ხომ სწორედ ზედ გამოჭრილ-შესაფერი ხელობა არის მანდილოსნისათვის. ამიტომაც ჩვენებურ ქალს ღრმად ჩანერგილი აქვს გულში სიყვარული ამ ხელობისა და იგი დიდის აღტაცებით, დიდის ოცნება-იმედით მოელის აბრეშუმის მოწევის დროს. მთელის წლის საქალო-საოჯახო ხარჯის წარმოებაში აღებული საფასით უნდა გაისტუმროს გურულმა დიასახლისმა: მთელი თავისი წვრილ-შვილობა, ამ მოსავლის საფასით უნდა დაჰმოსოს; მთელი წლის განმავლობაში დაძველებულ-დაფლეთილი საბან-ლეიბები პარკის ან აბრეშუმის ფასით უნდა განაახლოს და გაასუფთაოს! არ ვიცი, რა ეშველებოდა ჩვენებურ ღარიბ ოჯახს და მისს დიასახლისს, რომ აბრეშუმის წარმოება ჩვენში არ გამობრუნებულიყო და ამასთან სულზე მოსწრებასავით „შუამავალი“ არ დაარსებულიყო.

ცან-ინი

*** **სოფ. მოწამეთა** (იმერეთი). საზარელი მკვლელობა. 28 ივნისს აქ ჩაიდინა მხეცური მოქმედება ერთმა რკინის გზის დარაჯმა. აი საქმე როგორ იყო: კვირა საღამოს აქ ამოუვლიათ კიკნაძის ქვრივს თავის ჩვიდმეტი წლის ვაჟიშვილით, რომლებსაც დაღამებიათ გზაში, რადგან შეუძლებელი იყო მათთვის ღამე სიარული. მიუმართავთ ამ დარაჯისათვის—ისაკაძისათვის და უთხოვნიათ, რომ ღამე გაეთიათ. ისაკაძემ შეასრულა მათი თხოვნა, უცხო სტუმრები მიიღო. ვაჟი დაღალული იყო და მალე მიეძინა, ხოლო დედამის კი ეღვიძა, ისაკაძემ დაუწყო აშიყობა ამ ორმოცდა ათი წლის ქვრივ ქალს, საბრალო ქვრივი შესწუხდა, შემდეგ შვილსაც გამოეღვიძა. დააპირეს წასვლა, მაგრამ ისაკაძემ არ გაუშვა ისინი. ამ დროს მატარებელმაც გამოიარა, სადაც ისაკაძემ „ფლოგი“ უჩვენა, ხოლო კარი კი გარედან ჩაუკეტა ორთავე სტუმრებს. მატარებლის გავლის შემდეგ გაალო თუ არა კარი ისაკაძემ, ორივე—დედა და შვილი გარეთ გამოცვივდნენ და კიკნაძემ დაუძახა ისაკაძეს, რომ მე კიკნაძე ვარ და გადაგიხდი დედი ჩემის გალანძღვასო! დარაჯმა იფიქრა ამის დაძახებაზე: ვაი თუ მიჩივლოსო და დაედევნა უკან იმათ. მიეწია თუ არა, დაჰკრა ისაკაძემ კიკნაძეს თავში ნაჯახი და იქვე სული გააფრთხობინა. საბრალო დედაკაცი ჩაიგდო ამ მხეცმა და არა კაცმა შუაღამეზედ და რაც უნდოდა თავის გულის წადილი შეისრულა. შემდეგ გაჰყვა დედაკაცს რამდენიმე მანძილზე და უთხრა, რომ არაფერი სთქვა, თორემ შენც მოგკლავო; ქალს მართლა სამშაბათამდის არაფერი უთქვამს რა და სამშაბათს გამოაცხადეს სადაც ჯერ იყო, ხოლო ისაკიძე გაიქცა. ბოქაული ბ. აბულაძე დიდის გულმოდგინებით შეუდგა ისაკიძეს დაჭერას. იმედია, რომ დიდი ყურადღება მიექცევა ამ მხეცურ მოქმედებას, ვისგანაც ჯერ არს.

ჰყეპელი ვინ-ჟან

*** **ს. ქვიტირი** (იმერეთი). სად უნდა აშენდეს სკოლა. ამას წინეთ გაზ. „ცნობის ფურცელში“ მოხსენებული იყო, თუ რა უკიდურეს მდგომარეობაში არიან ქვიტირის სკოლის მოსწავლეები მასწავლებლითურთ სკოლის სივიწროვისა გამო. რა თქმა უნდა, იმისთანა ოთახი, რომელსაც განი ექვსი არშინი აქვს და სიგრძე რვა და მასთან მახლობლად ერთი პატარა ფანჯარა, ოთხმოცდა ათი მოსწავლისთვის სრულიად უვარგისია. რა თქმა უნდა, სადაც მოსწავლეს ამოსუნთქვაც-კი ეძნელება, იქ მას აღარაფერი ეხლისება, სწავლის სურვილი ეკარგება, ამნაირი უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ სკოლას მიაქცია ყურადღება ახლად არჩეულმა მამასახლისმა ბ. სულაკაძემ. მან მოახდინა ყრილობა და გამოუცხადა მას, თუ რამდენათ საჭიროა აგება ახალი სკოლის შენობისა. ამ საქმეს საზოგადოებამაც თანაგრძნობა გამოუცხადა, იმავე დღეს გააწერეს ფული, რომლითაც აგებულ უნდა იქმნას სკოლის შენობა, დღეს ლაპარაკი აქვს საზოგადოებას იმაზე, თუ სად იქმნას აგებული შენობა: ისევ იმ ადგილას, სადაც ეხლა არის მოთავსებული ე. ი. ს. შუა ქვიტირში, თუ მეორე სოფელში? ამ კითხვაზე მე როგორც წევრს საზოგადოებისას, შემიძლია ვსთქვა შემდეგი: ქვიტირის საზოგადოება შესდგება სულ შვიდი სოფლისაგან: სოფ. ზედა ქვიტირი, ს. შუა ქვიტირი, ს. ქვემო ქვიტირი, ს. ვაკისუბანი, ს. მესხეთი, ს. ბანოჯა და ს. მუხიანი- ამ სოფლებში მხოლოდ ერთ სოფელს, სახელდობრ ბანოჯას არ აქვს წილი სკოლაში და არც არავითარი ხარჯი სკოლისა მას არ ედება. როგორც ზემოთაც ვთქვით, სკოლა არის დროებით შენობაში სოფ. შუა-ქვიტირში. აი სწორედ ეს ადგილი არის დანარჩენი სოფლებისათვის შუა ადგილი, სადაც ყოველი სოფლიდგან შეუძლია მოსწავლეს ადვილად მოსვლა. მართალია მხოლოდ ერთი სოფელი სახელდობრ მუხიანი კი არის ცოტა მოშორებით სხვა სოფლებზე, მაგრამ ვინაიდგან ჩვენში კარგი გზებია, არც იქიდგან გაუჭირდება ბავშვს სიარული. ზოგიერთი პირები დაჟინებით ამბობენ, რომ სკოლის შენობა უსათუოთ ს. მესხეთში უნდა ავაგოთო, თუ ამ ვაჟბატონებმა თავიანთი ჟინი გაიტანეს, მაშინ მთელი სამი სოფელი სახელდობრ: ზედა ქვიტირი, ქვემო ქვიტირი და ვაკისუბანი იმდენად დაშორებული იქნება სკოლაზე, რომ ბავშვებისათვის შეუძლებელი გახდება კლასში სიარული. ამის გამო ჩემის აზრით, საჭიროა, რომ სკოლის შენობა იქმნას აგებული ს. შუა-ქვიტირში. იმედია მამასახლისი ჩააგონებს ხალხს, თუ რამდენად უმჯობესია სკოლის შენობის აგება ს. შუა-ქვიტირში.

კოწია ჭეიშვილი

*** **ს. აცანა.** მადლობის გამოცხადება. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ივანე დიმიტრის ძე ჭანტურიშვილს, რომელმაც შეჰკრიბა ჩვენის ღარიბი უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ქ. ქუთაისში 20 მან. ფულად და 80 ცალი წიგნი, ღირებული 17 მან. და 30 კ., სულ 35 მ. 30 კ.

გამგე აცანის უფასო სამკითხველოსი
გ. კურატაძე

*** მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად

თქვენის გაზეთის საშუალებით შემძლებინოთ მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს მიხეილ ნიკიფორეს ძე მახარაძეს, რომელმაც შემოსწირა შემოქმედის უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს 1 მაგიდის საათი, ღირებული 7 მან.

წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე
მღვდელი ხარიტონ ჩხატარაიშვილი

## რედაქციისაგან

**დუშეთში.** ისევ იმას. თქვენ გვეკითხებით—რა დანაშაულობისათვის გზავნიან ხოლმე კაცს ციმბირში და გიკვირთ, რომ ერთი თქვენებური დევ-გმირი, რომლის საქმენი საარაკოდ გამხდარა, დღემდე თავისუფლად დათარეშობს.. გულს ნუ გაიტეხთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველივეს დასასრული აქვს და თქვენებური დევ-გმირი პირველი «კანდიდატია» ცივ ქვეყნებში გასასეირნებლად.

**ბათუმში.** ვ. ქორჩილავას. თქვენი წერილი მივიღეთ და ძლიერ გმადლობთ მეგობრული შენიშვნისათვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ რაც-კი ჩვენგან შესაძლებელი იქნება, არ დავზოგავთ.

**ბათუმში.** სპირიდონ ხვ—ას. წერილი «არტელის» შესახებ ვერ დაიბეჭდება.

**ცხინვალში.** დ. ცხინვალელს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

**ჯვარცხმაში.** კიტარუს. თქვენის წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

**ოჩამჩირეში.** კონდ. გვასალიას. თქვენი წერილი, სამწუხაროდ, ვერ იბეჭდება.

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

1 ივლისს, პირველი სამაგალითო გაკვეთილი სამღვთო სჯულში მისცა მღ. ნ. მაჭარაშვილმა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, გაკვეთილი ყოველ მხრივ კოჭლობდა. ბიბლიური მოთხრობა გაზვიადებით იყო ნაამბობი და არა, მოთხოვნილებისამებრ, ბიბლიური ენით. გაკვეთილს ერთიანობა არ ეტყობოდა. ბავშვები უფრო უსაქმურად იყვნენ. მეორე სამაგალითო გაკვეთილი ქ-ნმა მახვილაძისამ მისცა რუსულ ენაში, მომეტებული ყურადღება ერთად გამეორებას მიაქცია, რაიცა ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს. მართალია, პედაგოგია თხოულობს ერთად გამეორებას, მაგრამ ხშირად გამეორებას ნაკლულევანებად სთვლის. ვაქცევთ ამას ყურადღებას იმიტომ, რომ ბევრი მართავს ამ საშუალებას ხელს. ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ერთად უნდა გაამეორებინოს მასწავლებელმა ძნელად გამოსათქმელი სიტყვები და წინადადებები, ამასთან ერთად გამეორება მიზანია, ბავშვებს ერთად ისე წააკითხოს, თითქო მარტო ერთი კითხულობს, თუ ეს მიზანი ვერ მიაღწია მასწავლებელმა, როგორც ქ-ნმა მახვილაძისამ, დრო ტყუილად დაკარგულია. ამასთან თუ მცირეოდენი ხმაურება უშლის ბავშვს მეცადინეობას, რომელიმე განყოფილების ხმა მაღლა კითხვა რას უზამს დანარჩენს განყოფილებებს? ამისათვის ძალიან ფრთხილად უნდა ხმარობდეს მასწავლებელი ამ საშუალებას. დაბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ ბავშვები უსაქმურად, უყურადღებოდ რჩებოდნენ და უსაქმურად დარჩენილები მწარედ ამთქნარებდნენ.

მესამე სანიმუშო გაკვეთილი ბ. პარკაძემ მისცა. მასწავლებელს ეტყობოდა გამოცდილება, საქმის ცოდნა, მაგრამ გაკვეთილმა მაინც უშნოდ ჩაიარა და მიზანს ვერ მიახწია. ეტყობოდა მასწავლებელს კარგათ ვერ შეემუშავებინა მასალა, შეიძლება რამე მიზეზის გამო. პირადულ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს გამბედაობა მისი. შუა გაკვეთილზე ბავშვების შესასვენებლად ამღერა ჰიმნი: «Боже царя храни». ეს მით საყურადღებოა, რომ პარკაძემდის არავინ მოქცეულა ასე. პედაგოგია კი ითხოვს რამე ფიზიკურ ვარჯიშობას გაკვეთილზე,

2 ივლისს, სამღვთო სჯულში სანიმუშო გაკვეთილი მისცა მასწავლებელმა მატიფიაშვილმა. გაკვეთილი ისეთი სიმარტივით და ლაგებით და წყობრისად გადასცა, რომ ბავშვებმა მშვენივრად შეითვისეს. ისე ხელოვნურად დაანაწილა გაკვეთილი და ისე ხელოვნურადვე უყენებდა კითხვებს, რომ ბავშვები თავისუფლად, თითქმის დაუხმარებლად უგებდნენ. გაკვეთილმა სანაქებოდ ჩაიარა; ასე, რომ სანიმუშო გაკვეთილი, სამაგალითო გაკვეთილებთან შედარებით სამაგალითო გამოვიდა. მასწავლებელს ეტყობოდა გამოცდილება, ბავშვების ბუნების და მათის სულის მოძრაობის ცოდნა. ისე ლმობიერად ეპყრობოდა ყმაწვილებს, მათი გული მიიპყრო და დაანახვა, რომ მათ თავიანთ კეთილის მყოფელთან ჰქონდა საქმე. შუა გაკვეთილზე გიმნასტიკურად ავარჯიშა ბავშვები.

შემდეგ ბ-ნმა ფერაძემ წაიკითხა ლექცია დიქტოვკის შესახებ. შემდეგ ლექციისა ქ-ნმა დავითაშვილისამ მისცა რუსულ ენაში სანიმუშო გაკვეთილი. გაკვეთილს ნაკლულევანებასთან ბევრი ღირსება ჰქონდა. პირველ განყოფილებაში მიზანს მიახწია, მეორეში ნახევრად და მესამეში კი ვერ.

მ. ლიხელი

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

1 ივლისი.

**ვაშინგტონი.** დეიმ განაცხადა, რომ ზავის შესახებ არავითარი წინადადება არა ყოფილაო.

**სიბონეი.** კვირასა და ორშაბათს ფლოტი სანტ-იაგოს ყუმბარებს ესროდა. ამავე დროს ხმელეთის ჯარი მიუახლვდა ქალაქს და ესპანელნი უკანასკნელ სიმაგრეებიდგან განდევნა. შემდეგ სროლას თავი დაანებეს. შაფტერმა ტორალს კაცები გაუგზავნა მოსალაპარაკებლად. შაფტერმა, შეუთვალა რა, რომ ელ-კანეიადგან გამოქცეული 18,000 კაცი შიმშილით იხოცება, რადგანაც ჩვენ მათი გამოკვება არ შეგვიძლიან, მოსთხოვა ტორალს, ქალაქი დაგვიმორჩილეთო. ტორალმა მიუგო, რომ ჯერ მთავრობას უნდა შევეკითხოვო.

**მადრიდი.** კარგა ხნის სროლის შემდეგ, სანტ-იაგომ თეთრი დროშა აღმართა. ამ მოქმედების აზრი არ უწყიან. ამბობენ, რომ ესპანელნი ქალაქიდგან გავიდნენო.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებელთა საყურადღებოდ, რომ, საგუბერნიო მთავრობის ნებართვისამებრ, ყოველგვარ **ნაგვისა და ტალახის გადაყრა ნება დართულია** მდ. მტკვრის შემდეგს ადგილებში:

მტკვრის მარჯვენა მხრივ:

1. ვერის აღმართის მახლობლად, ხიდის მარჯვნივ ოლგას ქუჩიდან.
2. მნაცაკანის ხიდთან.

მტკვრის მარცხენა მხრივ:

3, ხოსროევისა და ზუბალაშვილის ქარვასლასთან, რიყის მხრივ, საქალაქო საჭირო ადგილების მახლობლად.
4. გოგილოს აბანოსთან.
5. მნაცაკანის ხიდის მახლობლად.
6. მუშტაიდის ვიწრო ქუჩა[...]ან, რომელიც ჩადის მდ. მტკვარზედ.
7. ხელდახელ გადასაყრელ ნაგავისთვის პონდოევის ეზო ქვემო ავლაბრის ხიდთან, თათრების მეჩეთის მახლობლად.
8. ამათ გარდა ნაგვის გადაყრა შეიძლება მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთ მხარეს. (3—3)

ოთახებით მოწყობილ სასტუმროს
(ნომრების)
„საქსონია“-ს

პატრონი ლაზარე ნიკოლოზის მე გუნდე ამით აცხადებს ტფილისში ახლად მოსულთა და პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ მან თავისი სასტუმრო, რომელიც იმყოფებოდა წოვიანოვის სახლში გადაიტანა ამბარცუმ ენფინჯიანცის სახლებში ნიკოლოზის მოედანზე 1 ივლისიდამ ა[...] წლისა. (3—2)

### ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე [...]დის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чикован[...]

Михайлов., № 16.

### КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой пр[о]мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школь садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—23)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუ[...]